თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 3

ქ.თელავი 19. 04. 2022 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი** ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, გივი ლაფაური, ბაადურ გულიაშვილი, ანა ოთარაშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, უჩა ჭოტიაშვილი, გიგი გიგიტელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ანა ფეიქრიშვილი,** რეგიონის განვითარების ცენტრი: **სოფიო ჯაში, ნატალია ჯაში,** ა (ა) იპ თელავის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი **ივანე იორდანიშვილი,** მოქალაქეები: **მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

   მომხს. ლ. ბერძენაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ლ.ბერძენაშვილი

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

   მომხს. ლ.ბერძენაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

   მომხს. ლ. ბერძენაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის

მარშრუტების დადგენა ხდება მხოლოდ ქალაქ თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც პროექტის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და უმჯობესი იქნება მერიის მიერ წარმოდგენილი იქნას პროექტის ახალი ვერსია, სადაც გაწერილი იქნება მარშრუტები სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთანაც. კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებას დაეთანხმნენ სხვა წევრებიც, აგრეთვე წამოჭრილ საკითხს დაეთანხმნენ **ანა ფეიქრიშვილი** და **დავით ქსოვრელიშვილი.** კომისიამ კენჭისყრის შედეგად საკითხი გადაწყვიტა შემდეგნაირად:

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა წარმოადგენილი იქნას ნორმატიული აქტის შესწორებული ვარიანტი, სადაც განსაზღვრული იქნება მგზავრთა გადაყვანის მარშრუტები თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მთლიანად, აგრეთვე საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დამატებით განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქ.თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრობის ტარიფი განსაზღვრულია 1 ლარის ოდენობით, ხოლო შეღავათების გავრცელება ხდება ბევრ მოწყვლად ჯგუფებზე და სხვა ადამიანთა კატეგორიებზე. კონკრეტულად **ლევან ბერძენაშვილმა** დააფიქსირა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საჯარო სკოლის პედაგოგებზე, ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლებზე არ უნდა გავრცელდეს

შეღავათები, ვინაიდან სხვა მსგავსი დაწესებულებების თანამშრომლები იქნებიან დისკრიმინაციულ პოზიციაში. კომისიის წევრმა **იმედა კევლიშვილმა** გამოთქვა აზრი, რომ საჯარო სკოლის პედაგოგებზე არ უნდა გავრცელდეს შეღავათები, რადგან მათ მეტ-ნაკლებად ნორმალური ანაზღაურება აქვთ სახელმწიფოსგან და მათ შეღავათები არ სჭირდებათ. კომისიის წევრმა **ალექსანდრე შათირიშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებელ ყველა პენსიონერზე არ უნდა გავრცელდეს შეღავათები და საკითხი უნდა იქნეს შესწავლილი დამატებით. კომისიის წევრებმა **თინათინ ხანჯალიაშვილმა, ბაადურ გულიაშვილმა, ზურაბ ლილუაშვილმა, ალექსანდრე შათირიშვილმა, ლევან ბერძენაშვილმა** მხარი დაუჭირეს ახალ ინიციატივას, რომ საჯარო სკოლების პედაგოგების ნაცვლად შეღავათებით ისარგებლონ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. მგზავრობის ტარიფთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა **გიგი გიგიტელაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ მიუხედავად მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა იგი ეთანხმება მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 1 ლარის ოდენობით. მგზავრობის ტარიფთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა თელავის მუნიციპალიტეტის ააიპ სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელმა ივანე იორდანიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მგზავრობის საფასურის 1 ლარით განსაზღვრა იქნებოდა დამაზიანებელი შემოსავლების კუთხით, რადგან ჩატარებული კვლევების მიხედვით მოსახლეობა ისარგებლებს ალტერნატიული ტრანსპორტით, კერძოდ ტაქსებით და სამსახური ვეღარ ამოიღებს საკმარის თანხებს. მანვე დააყენა ინიციატივა, რომ მგზავრობის საფასური განისაზღვროს 70-80 თეთრის ოდენობით, რომელ ინიციატივასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით, კერძოდ ტარიფთან და შეღავათებთან მიმართებაში დამატებით წარმოადგინოს შესწავლის

შედეგები და არგუმენტები. აგრეთვე, საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დამატებით განსახილველად.

მოისმინეს: 3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტი დამატებით საჭიროებს განხილვას და აუცილებელია სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად ერთიანობაში მიღება. აღნიშნულზე მიზანშეწონილი იქნება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდეს კიდევ 1 თვით. მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები.

გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს ბიუროს, რათა პროექტზე ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდეს კიდევ 1 თვით.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ლ. ბერძენაშვილი

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა **ლ. ბერძენაშვილმა** პროექტთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ წარმოდგენილი პროექტი სამართლებრივად გამართულია, არ არის პროექტი ხარვეზის მატარებელი და მიზანშეწონილი იქნება წარედგინოს იგი ბიუროს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხაში შესატანად. მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები, შენიშვნები ან განმარტებები არ გაკეთებულა.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხაში შესატანად.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი